სსიპ-ქალაქ თბილისის № 198 საჯარო სკოლა

სატენდერო დოკუმენტაცია

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, სსიპ-ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლის დაცვის მომსახურების (CPV **79713000**) სახელმწიფო შესყიდვა (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი)

2015 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1.	ტექნიკური დავალება გასაწევ მომსახურებაზე	3
2.	ელექტრონულად წარმოსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალი	5
3.	დამატებითი ინფორმაცია	6
4.	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	7
5.	დანართი N1	13
6.	დანართი N2	14

1. ტექნიკური დავალება

1.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს სსიპ-ქალაქ თბილისის N 198 საჯარო სკოლაში (თბილისი, შარტავას.№20), რომლის საერთო ფართიც (2030 მ^2) განლაგებულია შენობის სამ სართულზე:

- I სართული - 970 მ^2; II სართული - 830 მ^2; III სართული - 230 მ^2;
- შენობის პირველი სართულის ფანჯრები გარედან დაცულია რკინის გისოსებით.
- სკოლის ეზოში დამონტაჟებულია შენობის გათბობის სისტემა.
- კომპიუტერის ოთახის დაცვა სიგნალიზაციის მომსახურეობით

1.2. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ობიექტის დაცვა ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში.

1.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საჯარო სკოლის შენობაში დაცვისათვის ჩაბარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, შენობაში მყოფი თანამშრომლებისა და მოქალაქეების დაცვა და უსაფრთხოება;

1.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

- სკოლის ეზოში დამონტაჟებული გათბობის სისტემის (6 საქვაბე) დაცვა.
- კომპიუტერული ოთახის, მასში განთავსებული 10 კომპიუტერისა და „სმარტბორდის“ დაცვა
- **საქვაბეების და კომპიუტერის ოთახის დამატებითი დაცვის მიზნით, სიგნალიზაციის მოწყობილობის დაყენება;**

1.6. მიმწოდებელმა, სკოლის შენობაში და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე უნდა აღკვეთოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, ასევე შენობებში არასანქცირებული შეღწევის მცდელობა;

1.7. მიმწოდებელი ვალდებულია დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

1.8. მიმწოდებელმა პასუხისმგებლობა უნდა იკისროს იმ ზარალისათვის, რომელიც შემსყიდველს მიადგა მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების მიზეზით. აღნიშნულ შემთხვევაში იგი ვალდებულია აუნაზღაუროს ფაქტიური ზარალი შემსყიდველს. ზარალის ოდენობა უნდა ეყრდნობოდეს შემსყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციას.

1.9. დაცვის თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ მშვიდად, ზრდილობიანად და ეთიკურად. მათი ჩაცმულობის სტილი უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ სტანდარტებს. ისინი ტოლერანტულები უნდა იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობაში, რათა არ დაირღვეს მათი უფლებები.

1.10. დაცის თანამშრომელს საჭიროების შემთხვევაში უნდა გააჩნდეს შესაბამისი აღჭურვილობა (რაცია, ხელკეტი და ა.შ.).

1.11. **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7 264 ლარს.**

1.12. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადს.

1.13. საავანსო ანგარიშსწორება არ განიხილება;

1.14. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებზე

2. პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია - ელექტრონულად წარმოსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალი

პრეტენდენტის მიერ, სისტემაში ატვირთული ტექიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.1. პრეტენდენტის რეკვიზიტები (სრული დასახელება, საბანკო რეკვიზიტები, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ელ.ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი, ხელმძღვანელისა და/ან ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა) – დანართი N1;

2.2. პრეტენდენტის მხრიდან, შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი ფასების ცხრილი - დანართი N2

- *შენიშვნა – ელექტრონული ვაჭრობის შედეგად საბოლოო ფასის ცვლილების შემთხვევაში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, უნდა წარმოადგინოს კორექტირებული ფასების ცხრილი.*

2.3. შესაბამისი, დაცვითი საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

2.4. ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტის ხელმძღვანელის ან შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.

3. დამატებითი ინფორმაცია

3.1. სხვა ინფორმაცია და განმარტებები შესაძლებელია მიღებულ იქნეს შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: თეონა ყაჭეიშვილი ტელ: 238 04 65, 223 71 05;

ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება

პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდ ენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი ___ _____2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - **ქალაქ თბილისის N198** საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **თეონა ყაჭეიშვილის** სახით და მეორეს მხრივ შპს ----------, წარმოდგენილი მისი ----------, (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და #SPA ---------- გამარტივებული ელექტრონილი ტენდერის შედეგების საფუძველზე

გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1.ხელშეკრულება - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომ - ხელშეკრულება) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2.ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4.მომსახურება – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5.არაჯეროვანი შესრულება - ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის ისეთი სახის მომსახურების მიწოდება, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საგანს, თუმცა ბოლომდე არ აკმაყოფილილებს აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობას.

1.6. ტექნიკური დავალება - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.7. ტექნიკური დოკუმენტაცია - მიმწოდებლის მიერ ტენდერში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის კუთვნილი შენობის (თბილისი, შარტავას N20) დაცვითი მომსახურება;

2.2. მომსახურების აღწერა მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ (თანხა სიტყვიერად) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

4.მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1.მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს 2015 წლის ---------- მარტიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

4.2.მომსახურების გაწევის ტერიტორიაა – ქ. თბილისი, შარტავას გამზ.N20.

5.მიღება-ჩაბარების წესი

5.1.მხარეებს შორის ყოველთვიურად გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი პერიოდის მომსახურეობის ღირებულების ასახვით;

5.2.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირი განისაზღვრება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6.ანგარიშსწორების პირობები

6.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ყოველთვიურად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2.ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო.

6.3.ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად 10 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმისდა მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

7.მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1.გასწიოს მომსახურება დადგენილი ხარისხისა და სტანდარტების შესაბამისად;

7.4.2. განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

7.4.3. უზრუნველყოს საჯარო სკოლის შენობაში და ეზოში დაცვისათვის ჩაბარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, შენობაში მყოფი თანამშრომლებისა და მოქალაქეების დაცვა და უსაფრთხოება,

7.4.4. აღკვეთოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება და შენობაში არასანქცირებული შესვლის მცდელობა;

7.4.5.დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები; უზრუნველყოს ობიექტის დაცვა ყოველდღე 24 საათის განმავლობაში.

7.4.6.პასუხისმგებლობა უნდა იკისროს იმ ზარალისათვის რომელიც შემსყიდველს მიადგა მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების მიზეზით. აღნიშნულ შემთხვევაში იგი ვალდებულია აუნაზღაუროს ფაქტიური ზარალი შემსყიდველს. ზარალის ოდენობა უნდა ეყრდნობოდეს შემსყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციას.

7.4.7.მისი თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ მშვიდად, ზრდილობიანად და ეთიკურად. მათი ჩაცმულობის სტილი უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ სტანდარტებს. ისინი ტოლერანტულები უნდა იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობაში, რათა არ დაირღვეს მათი უფლებები

7.4.8 .საჭიროების შემთხვევაში უნდა გააჩნდეს შესაბამისი აღჭურვილობა (რაცია, ხელკეტი და ა.შ.).

8. ხელშეკრულების კონტროლი

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ საამისოდ შექმნილი ჯგუფი;

8.2.კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3.ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

9. გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და მოქმედი სტანდარტებისადმი შესაბამისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის გამოსწორება;

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისავის

10.1.მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5% ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

10.2.ხელშეკრულების 10.1. პუნქტებით გათავლისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველს არ ევალება ხელშეკრულების 6.3. პუნქტში მითითებული ვადის დაცვა. მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მოხდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან 30 დღის განმვლობაში;

10.3.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

10.4.თუ ხელშეკრულების 10.1. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, შემსყიდველ უფლება აქვს ცალხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

10.5.პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1.ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3.თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4.შემსყიდველის დაფინანსების წყაროს შემცირების ან დაგეგმილი შემოსავლების ნაკლები რაოდენობით მიღების შემთხვევაში (თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა გათვალისწინებული იყო ამ შემოსავლებიდან), შემყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

12.5.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.დაუძლეველი ძალა

13.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2.თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს

მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3.მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრამდე

15.სხვა პირობები

15.1.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3.გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
---	---

დანართი N1

რეკვიზიტები

პრეტენდენტის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
იურიდიული და ფაქტიური მისამართი:	
ელ.ფოსტა:	
საკონტაქტო ტელეფონები:	
ხელმძღვანელისა და/ან ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა:	
საბანკო რეკვიზიტები	
ბანკის დასახელება:	
ბანკის კოდი:	
ა/ანგარიშის #:	

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი _____

დანართი N2

ფასების ცხრილი

N	მომსახურების დასახელება	მოცულობა (თვე)	ერთი თვის მომსახურების ფასი	საერთო ღირებულება
1		(აქ ჩაწერეთ 10 თვე)		

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა დაბეჭედი _____